

№ 13 თბილისი ივლისი 1964

საბუნო

გამოცემის 41-ე წელი. ფასი 20 ლა.

ქართული
გრაფიკა

— ნელა უვილო, არ გახიო, ერთი მებერი მიწდა!



გარდაბნის რაიონის ალბანეთის ფინგანის გუბაქს საქო ვარდნაშვილს!

ღრმად პატივცემულო და ნაამაგარო საქო! ბოდიშს ვისდი, რომ ამ პაპანა-ქება სიცხეში, როცა კაცს თავისი გვარის წაკითხვაც კი ეზარება, გაწუხებ და შენს ისედაც გადატვირთულ გონებას ამ პატარა ბარათის წაკითხვითა ვლდი. მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, შურიანების, ბედდამწვრებისა და გულდამწვრების ამბავი, მოსვენებას არ მძღვევენ, ათასნაირ საყვედურს მითვლიან და მთხოვენ, რომ ქვეყანას გაგაცნო საქმენი საგმირონი შენს მიერ დაგვირგვინებული და მოკვარასტინებული.

შენ, როგორც გარდაბნის რაიონის ფინგანის გამგის ყოფილ მოადგილეს, სახელი ამ რამდენიმე წლის წინ გაგიფარდა: შენი შიშით ხარაჩოვე კალატოზს ვერ გაველო და იატაკზე — დურგალს. ხელოსანს, გინდოდა დაასახლებდი, გინდოდა ციხეში ამოაყოფინებდი თავს ფინგანის იმ ნომრიანი აქტითა.

გლდანსა და დიღომს, მარტყოფსა და ლილოს ჭეხარტლივით მოედო შენი სახელი. ამბობენ, ახალ მშენებლობებზე და ძველების შეკეთებაზე მომუშავე ხელოსნებს ქორივით აცხრებოდი და ახდევინებდი იმას, რის გადახდაც ეზარებოდათ, მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ ის თანხები სახელმწიფო საღაროში არ შედიოდა და ყველაფერი რჩებოდა დანომრილი ქვითრების გარეშე. 1963 წლის დეკემბერში შენ თურმე გლდანის სპორტულ სკოლა-ინტერნატში ხარაზ ანდრო ავეტისიანს დასცემისხარ, ახალი ტუფლის კერვაზე წაგისწრია და შესაშინებლად აქტი უბრალო ქალაქდზე დაგიწერია, შემდეგ სახლში დაგიბარებია და 50 მანეთი მოგიტხოვია. დაბალი ხელფასის მქონე ავეტისიანს ვერ გადაუხდია, ვერ შეუსრულებია შენი თქმული და დანაბარები, ვერც შენს მიერ გაგზავნილი მოციქულის შეგონებას გაუჭრია და, ამიტომაც 1964 წელში ხელმეორედ დასცემისხარ და, უარით გამწარებული, შეგიდგენია აქტი თავისი სიგრძითა და სიგანით. სკოლა-ინტერნატის თანამშრომელთა შეკითხვაზე, თუ რატომ დეკემბერში არ იქნა შენს მიერ შედგენი-

ლი აქტი, მამა აბრამის ბატკანავით უცოდველს გიამბენია, თუ როგორ ავიკანკალა ცოდვამ და სიბრალულმა საწურად მომზადებული კალამი. აი ასეთი ჩვილი გულისა ბრძანდები, ბატონო საქო, და როგორ არ უნდა უყვარდე ყველას. ალბათ შენი და ზოგიერთი სხვა მიზეზების გამოცაა, რომ გარდაბნის რაიონის საყოფაც-სოფრებო მომსახურების კომბინატში 1962 წელს მომუშავე 167 ხელოსნიდან 20 ხელოსანს სრულებით არ შეუტანია ბუღალტერიში ფული, ხოლო დანარჩენ ხელოსანთა უმრავლესობის მიერ შეტანილი თანხები იმდენად მცირეა, რომ მათი თვიური ხელფასი არ აღემატება 8 მანეთიდან 20 მანეთს. ბოროტი ენები ლაპარაკობენ, ხელოსანთა ხარკი საქუას დაგრძელებულ ჯიბეში ჩადიდოდათ, მაგრამ ამას ვინ დაიჯერებს, რომ მე დავიჯერო!

ნათქვამია — კოკა წყლის გზაზე გატყდებოდა, და აქი ასეც მოხდა: 1963 წლის მარტში გარდაბნის რაიონის დიღომის სასოფლო საბჭოში ჩატარებული შემოწმებით გამოირკვა, რომ მოღარე-მოხარეზე მელაშვილმა თანამდებობის ბოროტად გამოყენებით, სიყალბითა, გადასახადის ქვითრების თვითნებური გაუქმებით, დოკუმენტების გადაშლით, ამოფხვითა და სხვა მსგავსი მაქინაციებით მიიტაცა 3574 მანეთი. შენ აბა უბატონოდ ხმას ვინ გაგცემდა, რომ არ დაედგინათ შემოალინიშნული ყალბი საბუთები მ-ჯერ ჩატარებული რევიზიით. როგორ „ვერ შენიშნე“ და შავი თეთრისაგან ვერ გაარჩიე. როგორც შემდეგ გამოირკვა, შენ რევიზიის ჩატარების დროს სახნიშნის ქვითარი № 355351, 355352, 355353, 355354, რომლითაც მელაშვილს მიღებული ჰქონდა 65 მან. და 20 კაპ. დაჯამე, წარწერა გაუქმე, (რომ რევიზიამილია) და ხელისმოწერით დაადასტურე, მაგრამ შემდეგში აღნიშნული ქვითრებით მიღებული თანხა არ ასახე სარევიზიო აქტში და ხელაშვილს ეს ქვითრები გაუსარჯავად დააწერე.

სწორედ ამ „მიამიტობის“ გამო საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს კოლეგიამ 1963 წ. 24 აპრილს ბრძანება № 22-ით მოგხსნა სამუშაოდან და სასტიკი პასუხისმგებლობის წინაშე დაგაყენა.

— საქო მოხსნეს! საქო მოხსნეს! — მესხივით გავარდა გარდაბნის რაიონში. გაიხარეს შენგან გამწარებულმა ხელოსნებმა. იდარდეს შენმა ახლობლებმა, ზოგიერთს გულიც კი გაუტყდა, მაგრამ ვინ საქო და ვინ გულის გატყდა.

— ფინანსთა სამინისტრომ მოხსნა, მაგრამ პროფკავშირის გარდაბნის რაიონში აღმადგენს. — ჩაილაპარაკე შენთვის და ქალაქის თაბახზე გაშანაღებული განცხადება უფროსებს მიართვი.

სასწრაფოდ დაიწერა გარდაბნის რაიონის შრომის დავის კომისიის სხდომის ოქმი № 1. არც ადმინისტრაციის ბრძანება, არც ადგილობრივი დადგენილება დავის კომისიის გამოყოფის შესახებ, არც საკითხის შესწავლა, ითქვა და გაკეთდა. ხელისმოწერა? მაგაზე ვინ დაგზარდებოდა. მართალია, ოქმზე ხელმომწერმა გარდაბნის რაიონის სახმემოსავლების ინსპექციის უფროსმა აბაკელიამ განაცხადა: „დაახლოებით ერთი თვესაგვის წინათ ფინგანში ინსპექტორმა ვარდნაშვილმა მითხრა, თუ ჩემი ყოფილი თანამდებობის სამუშაოზე აღდგენა გინდა, ამ ქალაქდზე მომიწერე ხელი და მეც მოვუწერე ხელი. ახლა, როგორც გავიგე, ეს ქალაქი ყოფილა გარდაბნის რაიონის რაიონის ადგილობრივი დავის კომისიის სხდომის ოქმი, გაფორმებული 1963 წ. 15 ივლისის თარიღით, რომელიც ეხებოდა ვარდნაშვილის სამუშაოზე აღდგენის საკითხს.

როგორც თქვენთვის ცნობილია, რომ მე და სახმემოსავლების ინსპექციის მუშაკები თვის 15 და 30 რიცხვში ვიკრიბებით სამგორის სახანაში გემის შესრულების საკითხებთან დაკავშირებით, რის გამოც მე დავის კომისიის სხდომას 15 ივლისის თარიღით არ დავსწრებივარ, არც მქონდა დავალებული ადმინისტრაციის მიერ ბრძანება მიღებული რაიონის გამგის კურტანიძისაგან ამ საკითხზე დასწრებისათვის“ (ავტორის ბრწყინვალე სტილი დაეკულია).

მაგრამ ამ განცხადებას რა მნიშვნელობა აქვს. შენ ხომ თავი აღიდგინე და ყველაფერი ეს როგორ მოკვარასტინდა რა საინტერესოა?!

— საქო აღსდგა! საქო აღსდგა — ყუმბარასავით გავარდა ხმა გარდაბნის რაიონში. გაიკვირვეს ფინანსთა სამინისტროში, მხრები ასწიეს გარდაბნის პროკურატურაში. კიდევ უფრო დაედო ფასი შენს ყოვლისშემძღვობას, უნარს და მარიფათს, შნოსა და მოხერხებას. ისევ გაშალე ხელები, ისევ ჩამოუარე რაიონს და ცეცხლი დაანთე.

ის საქმე, რომელსაც მელაშვილისა და ვარდნაშვილის გვარები აწერია, დღესაც გარდაბნის პროკურატურაში ტრიალებს, ისევ იკითხებიან დაზარალებულები, ინარჩუნებენ ქალაქდები, აშკარა სიყალბე, თაღლითობა საყვირით ყვირის, მაგრამ ჯერ ისევ საქმე ძველებურად მიდის და შენს შეწუხებას არავინ ფიქრობს.

ნიაჩი ამ წერილით ვერ გატყობინებს ყველაფერს და საგულდაგულოდ ინახავს იმ ოფიციალურ დოკუმენტებს, რომლებიც ყოველმხრივ ღალატებენ შენს გამოძალვით საქმიანობაზე. იქნებ სჯობდა ამ ბარათში მისი გამოქვეყნებაც?.. მაგრამ არა!.. დაე სათანადო ორგანოებმა გითხრან ის, რისი თქმაც აქ ვერ მოხერხდა.

მე ვალად ვიღე საქმენი შენი საგმირონი განსაკუთრებულ აღრიცხვაზე ავიყვანო. მიანტერესებს მათი ვინაობა, ვინც ფრთებს გისწორებს, გესმარება და არწივის მართეყსავით გათამამებს. არ მინდა მათთან ერთად ამავი დავიკარგო ამგდარ საქო ვარდნაშვილს, რომელიც ამდენი „დამსახურების“ შემდეგ წყლიდან მზრალად ამოხვედი და იესო ქრისტესავით მეორედ აღსდგე.

მენდე, რომ არც შემდეგში დავიკარგავ ამაგს.

შენი ნიანგი

ნახ. შ. აბაშიძისა



— რა კარგი ცეცხლისფერი მამალია, დედოკო!
— ცეცხლიც უკიდია, შვილო.



რა ზომებს ღებულობთ ტყის მეჩხერიანობის წინააღმდეგ?
— ვადამკრელს, ბატონო.

უ ე ე თ ს ვ ე ე ე ე ა

საპუტარო სახასხრო

ცვრიანი მწვადისათვის ახალი ხორცი ჯობია, მწვადი ბევრს უყვარს, ბევრის მომარაგებას ბევრი უნდა და ბევრი არ უფიქრიათ ამყამად სოხუმელ მოქალაქეებს გიორგი პორფილეს ძე ბასილაიას და გურამ იასონის ძე ქარდავას, დაიარებოდნენ სოფელ-სოფელ, კარი-კარ, ეძებდნენ მსხვილფეხა რქოსან საქონელს ეს თვითნებური დამამზადებლები, თუ მოიხელთებდნენ, რქებში ჩაავლებდნენ ხელებს, წაიყვანდნენ თავიანთ „საყასბოში“, დაკლავდნენ, აქნიდნენ, და ყიდდნენ და ყიდდნენ პეტრეზე და პავლეზე, ბიჭიკოზე და ჭიჭიკოზე, პარმენსა და პიმენზე, ერთის-სიტყვით, ცვრიანი მწვადების მოყვარულეებზე. ფასს ნუ იკითხავთ, ჩუმ-ჩუმად მომარაგება, როგორც წესი, წანამატს ითხოვს და ამ საკმაოზე მეტ წანამატს ვილაცივილაცებმა სპეკულაციური ფასი შეარქვეს. — მერე და სადაა აქ სპეკულაცია — ფეხის ქირა რომ აიღოს კაცმა — განა ეს სპეკულაციაა? ესეც რომ არ იყოს, რისკის გაწევისათვისაც მცირედენი გასამრჯელო არ ეკუთვნოდათ?

ძროხებით მოვაპარენი

შოთა პლატონის ძე დარჩია, ჯიმით შერმაღინის ძე თავამი-შვილი (მახარაძის რაიონი), შალვა მიხეილის ძე ბეჟიტაშვილი, რეჯაფ ახმედის ძე მენაღარიშვილი და რევაზ შურაღის ძე ანთაძე (ქობულეთის რაიონი), ძმანი იყვნენ და ძმანი დარჩნენ,

ერთად დაიარებოდნენ მივლინებებში, ერთად ადენდნენ ქვას წვენს, იყოფდნენ გამორჩენას და სარფას, და ახლაც ერთ ბედქვეშ არიან, რამეთუ მათი ბედიც გავდა ერთი მერორეს და მათი ხვედრიც დაემსგავსა ერთმანეთს შუაზე გაჭრილი ტყე-რაშაულივით.

ღვაწლი ბლომდა აქვს თითოეულ მათგანს და მათ ჩამოთვლას არ დაგზარდებოდით, მაგრამ ადამიანის აზრი და არსი მცირედითაც გამოჩნდება ხოლმე და ასეთი მცირედი მათაც გააჩნიათ საზიაროდ. ჩვენც სწორედ ამ საზიარო მცირედზე მოგახსენებთ.

გააგზავნეს, ანუ ნდობა გამოუცხადეს და მიავლინეს ისინი კოლმეურნეობებმა, გადით ხერსონის ოლქში, გაიარ-გამოიარეთ, ძროხების ყადრი მშვენივრად იცით, მიიკითხ-მოიკითხეთ, ნახეთ ჯიშინი ძროხები, შეიძინეთ და ჩამოიყვანეთ, ხორციც უვარგოდეს, რძეცა და ტყავიცა, საამო იყოს სანახავადაცოყურად იღეს აჯა ესე ძმათა მათა, შეკრეს პირი ერთობლივად ემოქმედათ და აკი იმოქმედეს კიდევაც.

იყიდდნენ ძროხას, შეადგენდნენ აქტს, ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერლებმა შევიძინეთ, ვთქვათ და ძროხა „შვინდა“, ანდა „გიშერა“ ამა და ამ პიროვნების ანდა კოლმეურნეობებისაგან ამდენ მანეთად და ამდენ კაპიკად, მოსკოვის დროით ამა და ამ დღეს და ამა და ამ საათსა და ხელს მინისტრულად მოაწერდნენ. და მოაწერიებდნენ ვისაც ჯერ არს. მთავარი მერე იყო, დასმულ ფასს ან ნოლს მიუწერდნენ ბოლოდან, ან ერთიანს წინიდან და, ამგვარად, კოლმეურნეთა ალალი შრომით გამომუშავებული ფული მათ ჯიბეებში ინაცვლებდა ადგილს.

ასე შემთხვევით, მათდა „უნებურად“, გადაინაცვლა მათ ჯიბეებში კოლმეურნეობათა ფულადი დანაზოგის ნაწილმა 5.872 მანეთის რაოდენობით.

ღიახ, „შემთხვევით“ გადაინაცვლა ამ თანხამ მათ ჯიბეებში, მაგრამ საგამომძიებლო ორგანოებმა იურიდიული ტერმინებით დამაჯერებლად დაუმტკიცეს ერთ ბედქვეშ მყოფ ძმაკაცებს, რომ აქ შემთხვევით არაფერი მომხდარა, რომ ნოლუბის და ერთიანების სიყვარული მათი ბოროტი ზრახვების შედეგია — ამიტომაც სხედან ისინი ახლა ერთად და კიდევ ერთ ხანს ისხედებიან, რომ თავიანთი მოქმედების ჭეშმარიტ ხასიათში როგორმე გაერკვენ.

იმედი გვაქვს, რომ არავითარი შემთხვევა არ შეუშლით ხელს ამ შემთხვევაში აუცილებლად გაერკვენ.

გაწყალებული რძე

კურორტვაჭრობის № 23 და № 50 მაღაზიებში უცნაური რამ შემთხვევები ხდებოდა. მოიტანდა რძის ქარხნის ექსპედიტორი ლანდოსი ნიკოლაიშვილი გიორგი აკოფოვის ავტოციტერნით რძეს, შემოაღებდა მაღაზიის კარებს, დაეკარგებოდა ფერი ჯერ ავტომძღოლს, შემდეგ ექსპედიტორს, მერე გამყიდველს და, ბოლოს, თქვენ წარმოიდგინეთ, ცისტერნიდან ჩამოსხმულ რძესაც; გაფერამკრთალებული, გაწყალებული და სიფათმეცვლილი სრულებით არ ჰგავდა მეწველი ძროხისაგან პირველად მოწველილს.

მომხმარებლებს უცნაური ფერისცვალების შემთხვევები არაჩვეულებრივად მიაჩნდათ, მაღაზიის გამყიდველებს: ლილი კახიძეს, სული ხუნდაძეს და მაყვალა ხუნდაძეს ჩვეულებრივად და იყო კამათი.

— ამინდია ყველაფერში დამნაშავე, ჩემო ბატონო, თორემ ჩვენს ქარხანაში წყლიან რძეს რა უნდა. — იტყოდა „გულუბრ-კვილო“ ექსპედიტორი ლანდოსი ნიკოლაიშვილი.

— ძროხებია სასტიკ პასუხისგებაში მისაცემი, ბევრ წყალს სვამენ, ჩემო კეთილო, და ბევრი წყლისაგან რძეს კი არა, ხეს მცვლება ფერი.

— წახდა საქონელი, ძროხებმაც რომ „ხალტურა“ ისწავლეს, აბა შოფრებს რაღა გაგვემტყუნება. — დაასკვნიდა ავტომძღოლი გიორგი აკოფოვი.

დაუჯერებელი მომხმარებლები რძის ყოველ ყიდვისას თავს იქნევდნენ და ვერაფრით ვერ დაეჯერებინათ რძის თვითნებური ფერისცვალება; რამეთუ იგი ქამელეონი არ არის.

ბათუმის რძის ქარხნის ლაბორატორიამ კი არა, შილიციის მუშაკებმა ამოიცნეს ფერისცვალების მიზეზთა რაობა: ავტოციტერნაში რძეს წყალს ასხამდნენ გაქნილი საქმოსნები ლ. ნიკოლაიშვილი და გ. აკოფოვი. კურორტვაჭრობის № 23-50 მაღაზიებში წყლიან რძეს ფულად აქცევდნენ გამყიდველები და იყო ქება ერთმანეთისა და ლანძღვა ძროხებისა.

ქარაუობი არაგველი

თურქული „დემოკრატია“ და „სპორტის“ ახალი სახეობა

აჰმედი — უბრალო ადამიანი, რიგითი თურქია. მას ანკარაშიც ნახავთ და სტამბოლშიც შეხვდებით.

დღეს აჰმედი ანკარის ქუჩებში მიაბიჯებს, მას სანახაობა წყურია: ფეხბურთი, კრივი, ჭიდაობა... მაგრამ არც ისე ადვილია სპორტულ დარბაზში მოხვედრა. ბილეთი რომ იშოვო, ერთი თვის ხელფასის, სულ ცოტა, მეოთხედს უნდა გამოესაღმო. ეს კი არც ისე იოლია, როდესაც შინ შიმშილისაგან პირდაპირი 5 სარჩენალი გელის. რა ჰქნას აჰმედმა?

— გამარჯობა, აჰმედი!

აჰმედს მეჰმედი შეხვდა.

— რას ჩამოგიშვია ცხვირი?

— ე-ეჰ! — და აჰმედი უზიარებს მეგობარს თავის გაჭირვებას. მაგრამ მეჰმედი არც აპირებს თანაგრძნობის გამოთქმას. იგი იცინის:

— წავიდეთ, აჰმედი! მე შენ განახევებ ახალ სპორტს. ო! აი ეს არის სანახაობა! რა ჭიდაობა! რის კრივი! მოძველდა ყოველივე ეს: მუცელში არ გაარტყა, ფეხში ხელი არ წაავლო! ჩვენი სპორტის ახალ სახეობას არავითარი წესები არ გააჩნია: გინდა მუშტი ურტყი, გინდა წიხლი, გინდა ჯოხი, გინდა წიგნი!

— ეჰ, არც ეგ არის ორიგინალური. ეს ხომ ამერიკული კეტჩია. მაგაზე ერთი გურუშის გადავდებაც არ ღირს.

— ჯერ ერთი, ეს კეტჩი არ არის. აქ ორი მოწინააღმდეგე კი არა, ათობით მეტოქე მონაწილეობს. შემდეგ არავითარი რა-

პირენის მთებში ჩატარდა ერთობლივი მანევრები, რომელშიც მონაწილეობდნენ საფრანგეთის საჰაერო-სადესანტო ნაწილები და ფრანკისტული ესპანეთის სამთომსროლელი დანაყოფები.

ნახ. ი. მხედლიძის



უნდები და დროის შეზღუდვა. და, ბოლოს, რაც მთავარია, არც ერთი გურუშიც კი არ იკარგება შენი ჯიბიდან, აჰმედი გაოცებულია.

— წავიდეთ, ძმობილო, წავიდეთ. უკეთეს სანახაობას დუნიაზე ვერ ნახავ.

მეგობრები გზას მიჰყვებიან და თურქეთის პარლამენტის შენობის წინ ჩერდებიან. დიახ, ეს მეჭილისია — ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო“, როგორც კონსტიტუციამი წერია.

აჰმედი მეჰმედს გადახედავს: დამცინი-ო? მეჰმედი თითოთანიშნებს გაჩუმდი და უსმინეო. და მართლაც, უზარმაზარ სადარბაზოდან „გულშემმატკივართა“ და „სპორტსმენთა“ ღრიალი მოისმის. სიტყვებს ვერ გაარჩევთ, მაგრამ კიდევ რომ გაარჩიოთ, ქაღალდზე ვერ გადაიტანთ.

მეგობრები შედიან შენობაში. აღიან ზევით და მაყურებელთათვის განკუთვნილ ადგილებს იკავებენ. მალე ისე გრძნობენ თავს, თითქოს სტადიონზე ყოფილიყვნენ.

გაგაცნობთ მეტოქეებს: დღეს პაექრობაში მონაწილეობას იღებენ ძირითადად ორი პარტიის წარმომადგენლები: მმართველი სახალხო-რესპუბლიკელები და ე.წ. სამართლიანობის პარტიის წევრები. ელავს მუშტები, ქოლგები, წიგნები, ჯოხები, სკამები... აი რესპუბლიკელებმა ფლანგიდან მოუარეს მეტოქეებს და კუთხეში მიიმწყვდიეს: კიდევ რამდენიმე წუთი და ბრძოლა მათ სასარგებლოდ გადაწყდება. მეჰმედი აღფრთოვანებულია, რაც ძალა და ღონე აქვს, ურტყამს აჰმედს ნახე ჩვენებმა რა დღე აყარესო! მაგრამ აჰმედს სრულიადაც არ უხარია: მას „სამართლიანობის“ მომხრენი უფრო მოსწონს, ან შეიძლება უბრალოდ ეცოდება. ვერ მოითმენს და მუშტს ჰკრავს მეჰმედს. აჰ, ასე ხომ! და „საომარი მოქმედება“ მოედო მაყურებელთა რიგებს. აი ეს ნამდვილი სპორტია! მასში მაყურებლებიც კი იღებენ მონაწილეობას!

უცებ იღება კარი და დარბაზში პოლიციის გაძლიერებული რაზმები შემობრბიან. პარლამენტის გახელბეჭდი წევრებს ადგილებზე აბრუნებენ. მეჰმედსა და აჰმედს კი, რომლებზეც ხელშეუხებლობის კანონი არ მოქმედებს, სასამართლოში მიაბრძანებენ.

მეჯლისში სიჩუმე ვარდება. დებუტატებს თითქოს რცხვენიათ თავიანთი საქციელისა და ამიტომაც ერთხმად (იშვიათი მოვლენა!) იღებენ რეზოლუციას: ჩვენ, თურქი ხალხის წარმომადგენლები, ფიცს ვდებთ, რომ მეტს აღარ ვიჩხუბებთ, არ მივაყენებთ ერთმანეთს შეურაცხყოფას.


რეზოლუცია მიღებულია და დებუტატები გადადიან მორიგი საკითხის განხილვაზე. ეს უკვე აღარ არის საინტერესო, და უკმაყოფილო მაყურებლები გადაიან დარბაზიდან. კიდევ რამდენიმე წუთი და ისინი დასტოვებენ მეჯლისის შენობას, მაგრამ რა არის ეს? კვლავ ყვირილი და ხმაური მოისმის დარბაზიდან. ყველა უკან ბრუნდება. დროებითი ზავი (ბოდიში, რეზოლუცია) დარღვეულია: ხელჩართული ბრძოლა განახლდა...

თურქული „დემოკრატია“ მოქმედებს. იგი მოქმედებს არა მარტო მეჯლისში, არამედ ქუჩაშიც, სახლშიც, თეატრშიც. აი კიდევ ერთი ცნობა. სტამბოლში ბერტოლდ ბრეჰტის პიესის „კეთილი ადამიანი სეზუანიდან“ წარმოდგენაზე მსახიობებს ქვები დაუშინეს. გაზეთი „ჯუმჰურიეტი“ ამის შესახებ წერდა: „ბერტოლდ ბრეჰტის ამ პიესას მთელ მსოფლიოში ხვდებიან ტაშით, თურქეთში კი — ქვებით. მაგრამ აქ ხომ ფაშისტური ესპანეთი არაა. ნუთუ ჩვენ ქვეყანასაც რეაქციონერები მართავენ?“

მაშ ასე. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში თურქეთში მოახდინეს უდიდესი აღმოჩენა: დემოკრატისა და სამართლიანობას ხმების უმრავლესობა და კენჭისყრა კი არა, მუშტი-კრივი ჰირდებოდა.

დღეს თურქეთის მმართველი წრეები ამ პრინციპის უფრო ვრცელ გამოყენებაზეც ფიქრობენ. სამხედრო-საზღვაო „მუშტს“ ამზადებენ ისკანდერუშში კვიპროსის წინააღმდეგ. აბა როგორ ვნებავთ? თურქეთის თემს ამ კუნძულზე დაცვა სჭირდება. მერე რა, რომ აქ ხუთჯერ მეტი ბერძენი ცხოვრობს. ხმების უმრავლესობა? ჰა-ჰა! აბა მუშტი-კრივი ვსინჯოთ! იქნებ ავიწყდებათ თურქეთის მმართველ წრეებს, რომ მუშტები სხვებსაც აქვთ.

ზანზი ბარა



ბეზობა... ბეზობა- წილს

— შეხედე რას გავს, როგორი დაბრუნდა მართას გოგია, როგორი გამომტყვერალა ეგ მუცელსასახეთქი! — ღვარძლიანად გაიძახოდა მართ და ირგვლივ შემოკრებილ მეზობლის ქალებს გამარჯვებულის იერით ეჯიშებოდა: მე შემომხედეთ, როგორი შვილი გავზარდეო. მეზობლის ქალები სდუმდნენ, ანდა რა უნდა ეთქვათ?

— დედა ენაცვალოს ჩემს ნოდარს, მაგნაირი წესიერი ყმაწვილი თბილისში არ დადის, ამ შინაბებრა შუშანას ჩემ რძლობას ვინ აღირსებს? — გაიძახოდა მართ და თითქოს მისი სიტყვების დასადასტურებლად გათენებულყოფს ეს შაბათი დღე:

— თებროს შალიკოს შესვლად, თებროს შალიკოს! გაწუწუწული წიწილასავით არ მოლასლასებს ველოთი, ეგა! ქალო, ძლივს არ გაალო კარი. აქაო და ოჯახი შინ არა მყავსო, როგორ გალუქულია ეგ მიწადასაყრელი ეგა. ჩემს ნოდარს შემოეგლოს დედა. მაგნაირი წესიერი ყმაწვილი თბილისში არ მეგულება, — გაიძახოდა მართ და ქება-დიდებას ასხამდა თავის დედისერთა „ყმაწვილს“, რომელიც უკვე ორმოცდასუთი წლის უცოლშვილო კაცი გახლდაო.

მეზობლის ქალები ისევ სდუმდნენ, მათ კარგად იცოდნენ რატომ ბერდებოდა მართს ნოდარი უცოლშვილოდ. დედამისს ქვეყნად არც ერთი ქალი არ ეგულებოდა შვილის სწორად. თბილისის ერთ-ერთი ბანკის თანამშრომელი ნოდარ ჯღამაური არაფრით არ გამოირჩეოდა სხვებისაგან. ახლა მას თვითონ ქალები იწუნებდნენ. მართ კი მაინც თავისას გაიძახოდა: ამ ეზოში, თქვენთან რომ ვცხოვრობთ, ჩვენი მზე უნდა იფიცოთ, ზრდილობას ჩემგან და ჩემი შვილისაგან სწავლობთ.

სდუმდნენ მეზობლის ქალები.

— ამ ბებერს რაღა დაემართა? ქალო, ისაკას შეხედე, ისაკას!.. სოკერასავით არ მიიკლავება!.. თან თავი ისე უჭირავს, ვითომ მთვრალი არა ვარო. უი,

მაგას დაუდგეს თვალი, მაგ ოხერს მაგას. შინ მარგალიტივით ცოლ-შვილი ელოდება, ეგ კი... სიტყვა ვედარ დაამთავრა მართმ, რადგან დურგალ ისაკას ცოლი ქალებს გამოეყო და ქმარს ფეხათრევივით აედევნა.

— ბი, ბი, ბი! — ჩაიქირქილა მართმ. — ორივენი მთვრალევივით არ მიბანცალდებენ? ფერი ფერსაო და მალდი ღმერთსაო. ჩემს ნოდარს ეგეთი ქალი რომ შეხედეს, თავს მოვიკლაგ, ან თბილისიდან ავიყრები, — მრისხანედ წამოისრულა მართმ.

მეზობლის ქალები ისევ სდუმდნენ.

— ერთი ამას დამიხედეთ, ამას რაღა დაემართა? ვინ გააბრიყვა ეგ უბედური ეგა? — გაოცებულმა შესძახა ქალებს მართმ და თვალები ისე დააფუტა, თითქოს მეორე სართულიდან შინაბებრა შუშანამ თავზე სიბინძურე გადმოასხაო.

პენსიონერმა შოფერმა გაბრომ, შორიდან მეზობლები რომ დალანდა, უკან გაბრუნება სცადა, მაგრამ

გვიანდა იყო, იგი ბარბაცით მიუახლოვდა გაოცებულ ქალებს.

— პატივცემული გაბრო, რა დაგემართათ, თქვენი სიმთვრალე ჯერ არავის უნახავს... დღეს რა მოხდა, რა ამბავია? — შეეკითხა მიტინგის თავმჯდომარე მართ და წასაქცევად შეებარბაცებული გაბროს ხელით შეაკავა.

— ნიშნობაში ვიყავი. იქ დამათრგნეს... — ძლივს წამოილულულა მთვრალმა პენსიონერმა.

— ვის ნიშნობაში? — გაისმა შეკითხვა.

— არ გეტყვით, საიდუმლოა, თქვენ თვითონ გაიგებთ, მალე გაიგებთ... — გაბრო ოთახისაკენ გაემურა ბანცალით.

— არა, ჩემს ნოდარს შემოეგლოს დედა, მაგნაირი წესიერი ყმაწვილი თბილისში არ დადის. იმ შინაბებრა შუშანას კი... — ჯერ სიტყვა არ დაემთავრებინა მართს, სწორედ ამ დროს, ეზოს წინ მჭახედ დამუხრუჭდა „ვოლგა“. მანქანიდან ვიღაც მელოტი მთვრალი აპირებდა გადმოსვლას, მაგრამ ფეხი საფეხ ნოსზე წამოედო, ძირს, ქვეფენილზე გააღინა ზღართან. ზღართან ვიღაც ქალის შეკვივლება მოჰყვა. თეთრ კაბაში გამოწყობილი ქალმა მთვრალი წამოაყვანა. მართმ პირი მანქანის კარივით დაალო. „ვოლგისაგან“ ნასვამი ახალგაზრდები გამოვიდნენ და ერთხმად დასტყვეს:

— ნეფე-დედოფალს გაუმარ... გაუმარ... გაუმარ... ჟოს!..

ნოდარი და მართსაგან დაწუნებული სარძლო ხელჩელგაყრილები მოდიოდნენ. ნოდარი ბარბაცებდა და შუშანასაც აბარბაცებდა. პირდაპირი მართ სდუმდა, მეზობლის ქალები ხითხითებდნენ:

— ნეფე-დედოფალს გაუმარ... გაუმარ... გაუმარ... ჟოს!..

ბასპანჩილი.

სუბიტილი სკანდალი

ერმილეს პირდაპირ ტვიში დაარტყა, ალბათ გადავირევი, — გაიფიქრა და თვალებს ძალა დაატანა.

— ბენო!.. ბენო ვარლამიჩი, გავკეთდი, ავშენდი, ამაზე კაცი ვერც კი იცნებებდა. — აბურტყუნდა ერმილე.

ეს ყველაფერი მოსკოვის ენუკოვოს აეროდრომზე მოხდა. ერმილე მივლინებიდან ბრუნდებოდა. ის იყო ექსპრესიდან ჩამოვიდა და გეზი პირდაპირ აეროვავაზისაკენ აიღო, რომ მოშორებით გაბერილ ჩემოდნებში, ჩამომხმარი ბენო დაინახა. ბენო სამმართველოს მუშაკი იყო და როგორც ირკვეოდა, ისიც მივლინებაში უნდა ყოფილიყო.

— ბედი არ გინდა?! ასეთი მიმეჩენი კაცმა უნდა გაუშვას ხელიდან? — ერმილემ სასწრაფოდ მრავალსვლიანი კომბინაცია ჩაიფიქრა, პირი ყურებამდე გასია, ოდნავ წელში მოიხარა და ბენოსკენ გაქნდა.

— ბენო ვარლამიჩი, გამარჯობათ!.. საიდან!.. როგორ!.. ჩემო ბატონო, გავიჟდები. — ხელი ჩამოართვა და ზედ მაგრად აკოცა.

ბენო ოდნავ შეცბა, ხელი უკან წაიღო და მარჯვენა ჯიბიდან „კრასნოპრესენსკი“ დააძრო. ერმილემ არც აცია, არც აცხელა, ასანთი პირდაპირ ცხვირთან გაუჭრა.

ბენომ გააბოლბა.

— თქვენ როდის, საიდან, ერმილე?!

ერმილემ სწრაფი პასუხის შემდეგ ჩაფიქრებულ დებიუტის პირველი სვლა გააკეთა.

— როგორ გეკადრებთ... —

— რა მოხდა, ბატონო ბენო? — და ერმილემ ხუთფუთიანი ჩემოდანი მხრიდან ნელ-ნელა ჩამოაცურა. ალბათ ნაადრევი იყო ეს სვლა, შვეების დაცვითი ვარიანტიც მოულოდნელი აღმოჩნდა. — გაიფიქრა ერმილემ და ხუთფუთიანი ფიქრის შემდეგ ახალი სვლა შესთავაზა:

— მაშინ „ნასილშიკი“, ბატონო ბენო... —

— არავითარ შემთხვევაში!.. —

— დაგეხმარებით.

— როგორ გეკადრებთ, ასეთ სიამოვნებას ვის დაუვთმობ. ეს ჯანმრთელობაა... —

„დაწყველოს ღმერთმა, რაღაც სრულიად მოუ-

(თეატრები იწყებენ და აგებენ)



ლოდნელი სვლებია...“ — გიჟდებოდა ერმილე. თვალი საათისაკენ გააპარა, ცაიტნოტზე ფიქრი ჯერ ნაადრევი იყო.

— ხაში, ხაში აქ არ არის, მაგრამ კოფეა კარგი, ვარლამიჩი, დაგვეგვენა, გვესაუბრა, ა?.. —

— ნუ სწუხდებით! — ისევ მოკლე და მოულოდნელი იყო შვეების სვლა. თეთრების მეფეს წარბი შეუთამაშდა, მაგრამ ეს ნერვიულობის მიზეზი არ იყო — ევრიკა!.. ძალიან ორიგინალური სვლაა. თუ ბენოს თან ახლავს ცოლი, „შას გარდერს“ ვერ აცდებდა. მაგრამ ამაოდ, ბენო მარტო აღმოჩნდა.

„არის ისევ გამოსავალი“. ერმილე მოსკოვურ შოკოლადებსა და შამპანურს შეწირავდა შვეებს. ასეც მოხდა, მაგრამ შვეებს მოულოდნელი როქი გაეკეთებინა.

ერმილემ სასწრაფოდ მოავლო თვალი იქაურობას,

ჩემოდნებით დატვირთული ბენო ძლივს მიითრევდა წელს.

— რა თავმდაბლობაა! — ამას კი ნამდვილად აღარ მოელოდა ერმილე. ენდშილი და ცაიტნოტი ერთად ახლოვდებოდა. ყაიშზე ლაპარაკი შედგებოდა იყო. ერთად ერთი ვარიანტი რჩებოდა — „წავალ იქ, კარებში გზას დავუთმობ, შემდეგ კი სტიუარდესს მაგიურ ღიმილს ვაჩუქებ და ბენო ჩემს გვერდით აღმოჩნდება. შამათი!.. მერე? მერე კი მე ვიცი ჩემი საქმე.

საოცრად პერსპექტიული აღმოჩნდა თეთრების ვარიანტი. შვეებს გასაქანი აღარ ჰქონდათ. ერთადერთი სვლა „ტუ 104“ იყო. „ისე მალაღმც, ვარლამიჩი, დაწინაურებული კაცი და ასეთი, ა!.. არ გელოდი. თავმდაბალი, მშრომელი, ენერგიული, ყველა მისი მეგობარი და ამხანაგია.“


ამ დროს ბენო სხვა საქმით იყო გართული. გულმოდგინედ დაარბენინებდა სხვადასხვაფერის ჩემოდნებსა და ჩანთებს. რაღაც შეუთუთლო საღვაც გააქანა, მერე იქიდან რაღაც უკან გამოაქანა, კიბეებზე აქაქანდა. მერე იქიდან ჩამოაქანდა.

„მალაღმც ყაბახო! — გიჟდებოდა ერმილე, — ალალა შენზე ყველაფერი.“

დიქტორმა თვითმფრინავში ჩასხდომა გამოაცხადა. ერმილე წამოსტა, წელში გაიმართა და თავის სამსვერპლოსაკენ თვანი გააპარა. შვეების პარტია უიმედო იყო. ერმილე ტრაპისაკენ გაქანდა. წინაწინ ჩაფიქრებულ კომბინაცია ერთხელ კიდევ შეამოწმა, ანგარიში უსტის იყო. ბენო ქოშინით უახლოვდებოდა ტრაპს. ერმილე შეჩერდა. ახლა ის დრო იყო, რომ მარჯვე მობრუნებით უკან დაუთმობდა ბენოს.

ერმილე მობრუნდა... ბენოს თავი თითქმის მიწამდე დაეხრებოდა. ერთ ხელში დიდი თაიგული ეჭირა, მეორეში ვიღაც მალაღმც მსუქანი მამაკაცის ხელი ჩაებლუჯა, ზედ მაგრად კოცნიდა და თან ბურტყუნებდა:

ნახაქმდის, კირილ პეტროვიჩი, მამაკით, რომ ვერც გაგაცილებთ, როგორც საჭირო იყო, მამაკით!



64-498

ИНДЕКС 76137


ბრძოლის
ბიულეტენი

სენატორის აღიარება

კომენტარებს უკეთებდა რა აშშ სამხედრო თვითმფრინავების
ფრენას ლოსის თევზე, სენატორმა მორზემ მას უწოდა „საერთა-
შორისო სამართლის აღმასრულებელი დარღვევა“;



ნახ. ზ. ლომიძის



სამართაურობის ბანდიტი